

5539/5



1919



# საქართველო

საბავშვო  
შრობა

• მხირა წაოგანთებვის •

225.



0563160.

№ 1



# მედიკალი

საქართველოს  
მედიკალი

№ 1

თბილისი, 1912 წ.




225.



ახალი წელიწადი.






# შ ი ნ ა ა რ ს ი:

№ 1 1915 წ. 11-12 ნომერი VIII-1111

I — ახალი წელიწადი, — სურათი . . . . .	1
II — ახალი წელი, — ლექსი გ. ქუჩიშვილის . . . . .	3
III — კობტას დღიური, — დ. ვედრებისულის . . . . .	5
IV — კეთილი მტერი, — ლეო იშნაძის . . . . .	12
V — ცხენი და ღორი, — (იგაფი) ალ. შირიანის . . . . .	16
VI — შელის ნუკრი, — ივ. ელიასვილის . . . . .	18
VII — გასართობი, შარადა, რეზუსი და აღსნა . . . . .	23








მ. მ. მ.

# ახალი წელი.

(შობატიეება ყველა ბავშვებისა).

ახალი წელიწადი  
ახალი სიხარულია,  
სუფრე მიძღვნილია  
ათასწერ ტკბილად.



მოდით, მეწვიეთ, ბავშვებო,  
ღია მხეკს კარი გულისა,  
მეწვიეთ ვისაც არ გწვადობთ  
აღერსი სიყვარულისა.

ვინც უნდა იყოთ, სწორებო,  
ჩუსტებითა თუ ქაღმნებით,  
უველას მიგიღებთ, კენაცვათ,  
ერთგვარად მოგესალმებით.




მამ ჩემსკენ, ჩემო წვეულებო,  
 ჭრიბე თქვენი სულისა,  
 ჩემო პაწია სტუმრებო,  
 ევაჟილნო ჩემის გულისა.

გ. ქუჩიშვილი.







# კოხტას ღლიური.

(უძღვნი ჩემ პატარა ძმისწულს გიორგის).

## 1. ჩვენი დაბადება.



რ ვიცდი, როგორი დღე იყო, მზიანი თუ ბურუსიანი. იმ დროს საიდანაც იწეება ჩვენი წარსული, მე და ჩემი დაძმები — ჯერ კვერცხებში განვლით. მხოლოდ ის მახსოვს, რომ მე ჰირველად დავიწეე წივილი და, რაც ძალი და ღონე შეიძინა, ვეპარე ნისკარტი, გავტეხე თბილი კვერცხი, რომელშიაც ვიყავი და იმ წუთში დედინების წენარი და ალერსიანი კურგურბი შემომესმა.

— კარგი, ქალო! რას ჯავრობ? — ესუბრებოდა დედაჩემს გამძლევი ანანო: — აბა ერთი გვაჩვენე, როგორი შეილები გეაქვს.

ანანომ აიღო ხელში კვერცხი, ოდნავ ფრჩხილით გამოტეხა ნაჭკუჭი, ზოგიც მე ვეცაღე, დაირღვა ჩემი რკვალი ცინესიძავრე. პატარა ხანს უკან ქვეყანა დავინახე.

— უი! რა ლამაზია! — შემომძახა კოტეკი. — სოფრონ! სოფრონ! — დაუძახა მხარეულს — აბა, ნახე!

მე წივილი დავიწეე; როგორღაც შემეშინდა ადამიანის შეილებისა, შემცივდა კიდევცა.



— უი, რა კარგია! რა ზაწიანა! — მოძინაღერსა ქაღბატონ-  
მა ლისამ, კოტეს დედა: — ანანო, შენე როგორს ჭკავს მა-  
მაქსა, ბანჯღვლიანი ფეხები აქვს: — უთხრა გაძდეღს; — შენე!


— ქაღბატონო, მიბოძეთ კრუხს შეუსვა, თორემ გაცივ-  
დება.

— ოჰ! გაუმარჯოს წიწილების ბებიას! — დაიწყო ხარხა-  
რი კოტემ.

დედა ჩემმა აიწია ფრთა, ალერსით დამბინავა, ძაღუ დამ-  
თბა ბუმბულებში და ტკბილად დავიძინე; მხოლოდ ძილში შე-  
სმოდა დედაჩემის კმინვა და ოხვრა; მიხეხი-კი არ ვიცოდი.

— ნეტავი რა დარდი აწუხებს დედას? — ვკითხავდი სოლ-  
მე ჩემ თავს.

ოთხი დღის განმავლობაში სულ ოცდა სამი წიწილა გა-  
მოვიჩიკეთ; ვიყავით ჩვენს თბილს ბუდეში. დედა ჩვენი ძლიერ  
კვიფროსილდებოდა. ერთხელ, მასსოვს, კვერდსე თეთრმა კატამ  
გაიარა; დედას რაღაც მოეჩვენა, მიაფრინდა — საწვალს და კი-  
ნადამ თვალები ამოხიჩქნა.



დედა ჩემი თავის ბუდეში იჯდა კვერცხებსე ჩვენ ძესობ-  
ლად; კვიან დასვეს და ჯერ არა ჭკვანდა შვილები. თეთრმა



კატამ კიდევ გაგვიანა ახლოს, თავდადუნულმა, მობუსულმა. დედა ჩემმა დაიწყო ჯახრობა; ვიგრძნე, როგორ განძრბა ბუძული, როგორ აიქონრა დედა ჩემი.

— რა არის, რა დაგეძრბოთ? — შეუტია დედან დეიღამ: — სიარულს უძლი კატასა? მენ სომ არაფერს გიძახებს. ძაღლს ჭერში აქვს ბინა, კიბესე მიდის. გუშინ-წინ შეესოვე ალიამ კნუტები გადაუანრა, დარდისაგან აღარ არის. რა ქნას? უბედურად დადის. დავიჯგრო, არ გებრალეებს?

დედა ჩემმა არაფერი არა სთქვა, მძიმედ ამოიოხრა და ჩაიძინა.

მე ფრთის შუა ამოვუავი თავი და გაუცინე დეიღამს.

— დეღამ დაიძინა? — შეითხა ჩუმაღ.

— დიღღ, ბატონო!

— კიდევ ძაღლობა ღმერთს, რომ ძილი მანცა აქვს. ძილი დარღში კარგია.

— რა დარღი აქვს დეღამს? — გავიკვირვე მე.

— განა არ იცვი, შვილო? — მიძასუნა დეიღამ. — შეჩვენე-ბულმა შეესოვე ალიამ დალუბა ძამა შენი, — გულ-საკლავად ამოიოხრა დეიღამ: — მოელ ჩვენ უბანში განა კიდევ იპოვებოდა იძის ცალი მამალი? ტანადი, თვალადი! საშინელი ერთგული სახლობისა. დღე და ღამ სულ იძას ფიქრობდა, როგორ ეს-ამოვნებინა ცოლ-შვილი და ნათესავები. გაგვივანდა სასეირნოდ მე და დედაშენსა, ჭიანს იპოვნოდა, თუ ძარცვალს, ან სასამთროს ქერქსა, თითონ-კი არ შესჭამდა, იმ საათში ჩვენ კუბაღვედა. ხმა ისეთი ჭქონდა, როგორც წარი, თქვენ რომ ენახეთ ეგრეთი კარგები და ლამაზები, სიხარულით გაგიქდებოდა. უი! დღე დაკლდეს ალიას!

— ალიამ რა უყო მამაჩემსა?

— აბა, რა ვიცი, შვილო? ზოვი ამბობს სხვას კატანა ჩუმაღლო: კაი გვარისა იყო და იძიტომ; ზოვი კიდევ



ამბობს, ვითომ ღამე დაკლა ჩემად და ამხანაგებს გაუძის-  
პინძლდაო. რა ვიცი? აღბნაღ-ვი არის ჩემი სიძე და! საცოდავ  
დედაძმენს გაუძისაძდა მელოგინობა, თქვენც ეგრე თბლები დაი-  
ბადენით.

ჩემმა შავქოხორმა მძამ შეჯალუგუნი წამკრა:

— რა კიამბო დეიდაძ?

მე ჩაუხურხულე რაც მიაძბო. შემდეგ, როცა გავიკეთ ვა-  
ლამ, რა დიდი მწუსარება ჩამოვარდა ჩვენს ოჯახში; ვცდი-  
ლობდით, არაფერზე არ გაგვეჯახვრებინა დედა. სამინლად უუ-  
რთნილდებოდით.

დავბინდენით მხიარულები, ღამასები და კონტები. მხო-  
ლოდ ერთი იყო ჩვენში უღონო, სასხელად ჰაწუნა.

შავი, სუყველასე ჰატარა, ძლივ-ძლიობით ასტებოდა დე-  
დას კისერზე და იჯდა იქ.



დედაჩემი ხათრით არაფერს არ ეუბნებოდა:

— ოღონდ ჰაწუნამ ისიამოვნოს და! — ჩემად იტყოდა  
ხოლმე.

ჩვენი ჰატრონები დიდის სიკვარულით გვექცეოდნენ; არ



გვაკლდა არც ალერსი, არც ზატრონობა, მხოლოდ იატაკზე სიარული გვეჩოთიერებოდა.

— თუ დედამიწასე არ გვიარს წიწილამ, რა ფრინველი უნდა გამოვიდეს! — ბუტბუტებდა დედა ჩემი. — აბა, რა ვქნა ერთმა საცოდავმა ქვრივმა.

ვინ არის ჩემი ზატრონი?

გავიდა დრო. საღამო იყო, წენარი, მანისის საღამო. ჩვენ ფრთებ ქვეშ ვიძინებდით. ზაწუნა ჩვეულებრივ დედას კისერზე შეასტა, გაიგო სმაურობა. წინ მოდიოდა ანანო, ხელში სანთელი ეჭირა, უკან მოსდევდა ქალბატონი ლისა.

— ანანო! მოდი სვალ ეს ქალბატონი თავის გოგობიჭებით ქვევით ჩავიუვანოთ. ცუდი სუნი დადგა აქა.

— როგორც გნებავთ, ჩავიუვანოთ ეზოში.

ეს რომ გავიგეთ, სიხარულით აღარ დაგვეძინა. დეიდასა-ვან ვუქმნდა ვაკონილი, რომ ძირს ლამაზი დიდი ეზოა; ეზოში კედელთან დგას დიდი სანაგვე ეუთი. იმ ეუთთან სძირად იყო მამჩემი, იქ ზოულობდა სან ზურის ლუკმებსა, სან ხორცის ნაჭრებსა და სხვა და სხვა საჭმელსა. იმ ეზოში სესილი იდგა, აგრეთვე ლობიოს ხეებიც. მართლაც, მეორე დღეს, გათენდა თუ არა, ანანომ დაგვიუბრა აფშრეკული სიძინდის ფქვილი; მსიარულად ვიასელოთ ეს ჩვენი სავეარელი საუსმე; მეძმე კაღთაში მოგვაგროვა, სტაცა ხელი დედჩემს და აი-უვანა. დედჩემი ეჩხუბებოდა ანანოსა:

— რა გინდა ჩემგან? თავი დამანებე. არ მინდა თქვენი ეზო. მანდ არ დაიკარგა საცოდავი ჩემი ქმარი?

— ანანომ ბევრი არწმუნა, რომ ეზოს არაფერი დანამა-ული არ მიუძღვის მამჩემის დაკარგვაში, მაგრამ დედამ აღარ გაათავა; მერე დეიდამ შეუტია:






— არ მესმის, რას ჭირვეულობ? მამ, აქ უნდა გვეზანდღეს ბავშვები? ფეხები დაიმტვრიეს იატაკსე სიარულით. არ გებრალეებიან მაინც, ანაწომ ყურადღება აღარ მიაქცია ამ ბაასს და არსეინად ჩავკეუვანა ქვევით.

დედა-მიწა რომ დაუინახეთ, ისე გავინარეთ, თითქო ქვევანა ჩვენიაო.

ხილის ხეები საევარლად იდგენ, ლამაზად ჰყენდენ ჩრდილით ესოსა. ონკანს ქვემ იდგა სუფთა ვარცხლი, ცივი წელით სასე. ცა და ლობიოს ხის ტოტები თითქო იცინოდენ ვარცხლის წებლში. ალაუაფის კარებიდან ვსედავდით ჰატარა საქალაქო ბაღს; ბავშვების ჟრიაძული გამოდირდა იქიდან.

კედელთან ჩრდილში სანაკვე ყუთი იდგა. დედამ შორი ასლო დაუწყო ცქერა იმ ყუთს და ამოუჯდა გული... აღბად მამახეში მოაკონდა; აქა-იქ თეთრი ლობიოს ხის ევაგილები ევარა; მე და ჰაწუნამ დავიწვეთ კენკა. მერე ჩვენებიც მოვიდენ დაერთად ვინამოფნეთ. როცა გავათავეთ ეს ტკბილი საუხმე,



დედამ ცივი წებლი შემოკეთავას. მიჯურინდით ვარცხლთან. ჰაწუნა შემოსევეთ წებლში ჩავარდა: ძრიელა შექმინდა, სღვა



ეკონა, დაიწყო წივილი. სახეჯროზე ამოვათრეთ: მერე მზეზე  
თბებოდა და ისე მობრუნდა, როგორც იყო.


— ბავშვებო! — გვიბრძანა დედაძი: — საუხულის დღე დი-  
დება, დაიბალებით, ცოტა მოიხუენეთ.

მართლაც, მრავალი ახალ-ახალი შთაბეჭდილებებისაგან მა-  
ლიან დავიღალეთ, ისე რომ ერთს წუთში შეგვროვდით დედი-  
ჩემის ფრთებ ქვეშ.

დ. ვედრებისელი.







## კეთილი მტერი.



ოფელ ქედში ღარიბ მცხოვრებლებს ძალიან ხელს უწყობდა ის კარმეობა, რომ იმათ სოფელში რკინის გზის სადგური იყო, სადაც რამდენსაძე წუთს ჩერდებოდა მატარებელი და სოფლელებს შეეძლოთ მკნავრებს შორის გაევიდათ ვველაფერი, რაც-კი ხელში მოხვდებოდათ: ვაშლი, მსხალი, რძე, ყველი... და ამგვარად ნაშოვნი ფულით გაესტუმრებინათ ზოგიერთი წვრილმანი კადასხალი.

ქრისტეშობისთვის პირველი რიცხვები იყო. ცოტას ეჩნავდა. საწვიმრად ჩამობნელებული ცა, თითქოს რაღაც სამწუნარო ამბავზე ჩაფიქრებულაო, სევდიანად გამოიყურებოდა.

სადგურის ბაქანზე მატარებლის მოძლოდინე ხალხი დასეირნობდა; მათ შორის სოფლის პატარა გოგობიჭები დადიოდნენ, — ხელში კალათები ეჭირათ და მოსეირნე ხალხს სხვა-და-სხვა სანოვაგეს აწვდიდნენ:

— მიირთვით, ბატონო, მიირთვით! იაფა, მაგრამ რა გაეწობა? — იძახდა ერთი...



— სულ უძრავად, ბატონო, სულ...

— ამ დილანდელი მოწვეულია, ღმერთს ვუფიცვარ... — უმტკიცებდა ერთ შეიღველს ზატარა თამრო და ბოთლით რძეს სთავაზობდა.

— იცი, ბიჭო! სამი კაპეიკის ვაშლი რომ კიდევ გავეიდო, ქვით <sup>1)</sup> კლასის შეშის ფული.

— მატარებელი ჯერ კიდევ არ მოსულა, — ეუბნებოდა ათი წლის ვასო თავის ამხანაგ ვალიკოს: — თუ ასე ვივაჭრე, ძაღვს საკლანდო <sup>2)</sup> ბლუსის ფულსაც ამოვიკებ, — გაბრწინებულ თვალებით დაუმატა მან და სიამოვნებით შეკუნტრუშდა...

— შენ რაღა ქენი? — მზრუნველობით დაგკითხა ისევ ვასო, როცა შეხედა ვალიკოს დანაღვლიანებულ სახეს და ვაშლებით სავსე ხელ-უხლებელ კაღბთან: — სულ ვერ გავიდე?

— მატარებლის მოსვლას უცდი, — მოკლედ მიუგო ვალიკომ და სევდიანი თვალები იქით მიანაწყო, საიდანაც მატარებელი უნდა მოსულიყო.

— შენ გგონია მამინ უთუოდ გაჭედი? — ჩაერია ლანა-რაკში ცქრიალა ლისა, — ხან-და-ხან ისეთი მკსავრებია, რომ... კაპეიკისას არაფერს იყიდებ.

— რა შედარდება: სულ რომ აქ გავათენო, ესენი უთუოდ უნდა გავეიდო: — ძევალისაგან ძროხა გვევახს დანახსნელი და იმისთვის ფულს ვაგროვებ, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ვალიკომ.

ამ დროს სადღაც შორს მატარებელმა დაიკავლა... ბავუშვები დაუაცურდნენ... რამდენსამე წუთის შემდეგ მატარებელმაც სწრაფად ჩამოისრიალა და გაჩერდა...

— შენ, ეი! ზატარა ბიჭო, მოიტა მავ კაღბთი აქ! — გადმოსძახა ვასოს ერთმა ჩასუქებულმა მკსავრმა შესამე კლასის

<sup>1)</sup> გასწორება.

<sup>2)</sup> კალანდას გურიში ახალწელიწადს ეძახიან.





ვაგონის ფანჯრიდან. ვასიკომ კალათი მოიძარჯვა და საჩქაროდ მისკენ გასწია... გაბრუნებული ვალიკო ხირია... მკვრამ უცებ რაღაც მოისაზრა. თვალის დასაშინებების უძალად გადაუდგა ფეხი ვასოს, რომელიც იმ წამსვე მიწასე გაიშლართა... ვალიკომ-კი, თითქოს არაფერი მომხდარაო, საჩქაროდ მიუბრუნინა თავისი კალათი ამ დროს მატარებლიდან ჩამოძვალ მკვარს... მკვარმა ცოტა ვაჭრობის შემდეგ რამდენიმე გროში გაუწოდა ვალიკოს, კალათი-კი ვაგონში შეიტანა...

ვასო, რომელსაც ასე სასიხლოდ მოეხერხა ვალიკო, დაცემის შემდეგ ისე გაბრუნებული იყო ვალიკოსე, რომ მოეკლა, გული არ დაუძლიდა... სულ უთვალთვალეობდა, როდის წავა მატარებელი, რომ ერთი ღონიერად მივუბეგო ვალიკო... ამხანაგებსაც ასე უძტვიცებდა:—უთუოდ ძალიანი უნდა გაზღასო, და შეურაცხყოფისაგან უურებ-გაწითლებული სულ მუშტებ-მოღერებული დადიოდა. ზილას ჭქმნდა ვაშლის გაყიდვის დაზღი:—ცემით მოუკლავ... ცხვირში ძმარს ვაღენ, — იმუქრებოდა ვასო.

სარმა შეორედ დაიწკრიძლა...—საცაა მატარებელიც უნდა წასულიყო... მკვარე-კი კალათს არ ამლეგდა.

— კალათი, ბატონო, კალათი!—რამოდენიმეჯერ გაიძეო-რა ვალიკომ...

ბოლოს, როგორც იყო, მკვარმა ინება ფანჯრიდან კალათის გადმოკდება, რომელიც გადმოვარდნისათხავე მატარებელს ქვეშ შეგორდა... თავდავიწყებული ვალიკო გამოედევნა კალათს და თვითონაც მატარებელს ქვეშ მოექცა...

ბაქანსე მოსყირნე ხალხი შეინძრა... შიშმა მოიცვა... ვე-ლა ვალიკოს მისხერებოდა და უევიროდა:

— გამოდი! ძაღე!.. ძაღე!..

— დაწვი... დაწვი... დაწვი...



— გამოიყვანეთ!.. გამოიყვანეთ... ვინა ხართ ზატრონი!..

— ძაღუ!.. ძაღუ!.. ძაღუ!...

— უბედური მისი დედა!..

— გასჭედეტს!.. უთუოდ გასჭედეტს..

საბრალო ვალიკო მხოლოდ ასეა მისგან რაც ამბავი იყო მის თავზე... მაგრამ შიშს ისე შეებოჭა, რომ ფეხის გადადგმას ვერ ასწრებდა....

როცა ვასომ ვალიკო მატარებელს ქვეშ დანახა, ერთი კიდევაც იაბა. მაგრამ რა შესედა შიშისგან სხცოდავად დაჭეტილ თვალებში, საშინლად შეეცოდა... სწრაფად მატარებელს ქვეშ შევარდა, სტაცა ვალიკოს ხელი, დაწვინა მიწაზე და თვითონაც მის კვერდით გაიძვლართა...


ამ დროს ხარბა შესამედ დაიწკრიბლა, მატარებელიც დაიძრა და ორსავე ბავშვს წენარად თავზე გადაუარა. ცრემლ-ძორეული ხალხი ვასოს გმირობით აღტაცებული იყო.

ვალიკო დარცხვენილი იდგა და ვასოსთვის შესედა ვერ გაუბედა...

ლეო იმნაძე.








## ცხენი და ღორი.

(იგავი).



კბილებით ფხანას დაუწეებდა და ხან თავით ფეხებამდე ლოკვას მოჭეუებოდა.

უცქირა, უცქირა ღორმა, ბოლოს ვეღარ მოითმინა და მოსიუვარულე ცხენს გამოეპასუსა:


— ვაი რა მუქთად ჩაგვილის ეგ ამაგი: ბევრიც რომ თავი იხეთქო, უბედურება მინც არ აცდებთ: წამოკეცდება თუ არა ეგ შვილი, ჩვენი ჰატრონი ორს ერთად არას გხით არ შეგინახავთ, — ან შენ გაკვიდის, ან შენს შვილსა.

— რა ვქნა, მეგობარო, ვეუღას უნებლიედ ბედს ეძორჩილებს, — მიუგო ცხენმა, — მეც ბევრჯერ მინახავს ჩვენი ჰა-




ტრონისაგან დიდი ღორის თავი სახანაწლოდ ლანგარსე დადებული და ზატარა, მუსლუკი გოჭები რკინის შამფურსე მწვადად აკებულები, მაგრამ შენ-კი ახლა არსეინად დაღრუტუნებ მაკ შენ შეილებს და მათსე გლოვნა და მწუნარება ფიქრადაც არ მოგდის. მადლობა ღმერთს, მე თუ შეილს გამიყიდინან, ევლს მანც არ გამომიჭრიან.


ალ. მირიანაშვილი.







## შვლის ნაამბოზი.



რრრ... იჭექა ცაბ და ჩვენი ჯოგი  
 შეკრთა. ვინ გაქცევა დაბნირა, ვინ  
 ეელ-მოღერებული გაუნძრეკლად იდგა.  
 ვველასე შეტად შემკრთალი ნუკრები  
 განუსახლვრეკლად მოსიევარულე თვა-  
 ლებით თავიანთ დედებს შესცქეროდნენ, თითქოს ეკითხებოდ-  
 ნენ, რა სდება ჩვენს თავსედაო. ჩვენ ერთსანს გამოურკვეველ  
 მდგომარეობაში ვიუავით, რადგან ვერ გაგვევო, თოფის გრი-  
 ალი გაისმა, თუ კლდეს მოკლეჯილი ნაწრალი ჩაეშვა სეგ-  
 ში. ამ ორი მოვლენისაგან სეგში გამოწვეულ სმაურობას ვერც  
 ჩვენ და ვერც კარგი დანდილი მონადირე გაიგებს სოლმე.  
 თუ ადამიანი დავინახეთ სადმე ამ სმაურობის დროს, გადა-  
 ჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თოფმა იჭექა; თუ არა და,  
 ჩქარა დავმშვიდდებით სოლმე. თუძე იმასაც-კი არ ვივიწებთ,  
 რომ მონადირე ცბიერია, სადმე ხეს ან კლდეს ამოეფარება და  
 იქიდან თოფს გაისვრის; და როცა ჩვენ, სულ-განაბულნი,  
 ვლამობთ გავიკოთ სმაურობის მიხესი, სწორედ ამ დროს



გვიღებს ნიძანში და ვინაც იმის ტყვია მოხვდება, — ჯვარი აქაურობას, მშვიდობით ცოლო და შვილო.

უნდა დასუტო სამუდამოდ თვალები და, ერთხელაც არის, ვეღარ დასტკბე დილა-ადრისან დიადი მნათობისპკან კადმო-სროლილ სსივეებით და ოქროსურად აფერხდებულ საღის კლდის სიღვით, რომელიც ისე საუცხოოდ აუღებულა ჰაერში; ვეღარ უნდა შესრუტო დილის ბრჭყვიალა ცვარი ეგერ-აკერ მთებში ჩაქსოვილი ტბილი სამოფრებისა; ვეღარ უნდა გაიგრილო გულ-მუცელი ხევში მოჩუხჩუხე ანცი, ანკარა ნაკადულითა; ვეღარ უნდა გაეთამაშო შენ ტოლ-ამხანაგთ და ვეღარ იგემო ნორჩი ფოთოლი ახლად ამოხეთქილ მცენარეთა და ტურა-მგლისა და ვვავ-ფორჩის ულუფად გახდე!

იქნება დიდს რასმე ვაკლებთ ამ წუთი-სოფელს? ისემც ხურა გეტკინოსთ!

ჩვენი სურვილი და ლტოლვა ერთად ერთია: თავისუფლება. დიად, ჩვენ გვიყვარს თავისუფალი ცხოვრება, თავისუფალ მთა-ბარში; გვიყვარს ჩვენი აფერხდებული სამშობლო მისი სუფთა, კრიალა ჰაერით, მისი ცა-ფირუს, სმელეთ-სურ-მუსტით, მისი განადებული მხითა და მორცხვად მონარნარე მთვარით, მისი მოკაშკაშ-მოელვარე ვარსკვლავებითა და დიადის მთა-გორებით, მისი დინჯად მომდინარე წყლებითა და ანცად მჩქეფარე ნაკადულებით. გვიყვარს ლაღი, დამოუკიდებელი ცხოვრება, თავისუფალი მოძრაობა, თავისუფალი ნავარდობა, თავისუფალი სიფარული და თავისუფალი ეოფა-ცხოვრება. განა იმიტომ-კი არა, რომ ვისმე რამე დავაკლოთ, ვისიმე ბატონობა ვისურვოთ! რა სათქმელია? ან სად გავკონილა, რომ ერთის თავისუფლებას სხვისთვის რამე დაეკლოს? არსად და არასოდეს! თავისუფლება ისეთივე მშვენიერია, როგორც კაბრწეინვებული მხე და მოქათქათე მთვარე, როგორც მოციმი-





ციმე ვარსკვლავი და მოხუსხუსე ნაკადული... თავისუფლება თავისთავად მშვენიერებაა და მშვენიერებაც ხომ მხიბლავი ბუნებრივი ძალაა!

შენც იცნოვრე და სხვასაც ნუ უძლი ცნოვრებას!

მე შენ გეპევი, დედა-ძიწა არ გვეყოფს საცნოვრებლად, ერთი-მეორეს დავეჯანებით და საწრდოს მოძოვებას შეუძლით, ვინ უმეცარი იტყვის ასეთ უაწრობას? თვალ-უწვდენი მინდორ-ველი, ჭალა-ტყე და მთა-გორები, გინდა თუ არა, სულ და გული!

მხოლოდ შენ ისა სთქვი, რომ კაცის თვალი წარბია, მისი გული გაუმაძღარი. ეს ჩემია, ისიც ჩემი იყოს და იმის იქითაც სხვას ნუ ექმნებაო,—აი, აქ არის ჩვენი უბედურების სათავე; აი, ეს არის თავისუფლების მოძინობი და დამამსობელი.

სუსტი ქმნილება და აუარებელი მტრები! სად არის სამართალი? მგლის სამართალი მისი კბილებია; მაგრამ ადამიანიც რომ მკელს ჭბამავს, ეს არის ჩვენი უბედურება.

იმ დღეს მონადირემ გადააკორა ერთი შველი, სამი ნუკრის დედა. საცოდავი თავდაღმა ჩაეშვა თვალ-უწვდენ სეკში. სამი დაობლებული ნუკრის ცოდვა თან წადიდა იმ დალოცვილმა და მათი დედა-კი ტურა-მგლების კბილების გასაღესად მიაგდო. კარგი, რომ ჩვენ ჯოგში რამოდენიმე ფური იყო, რომელთაც იშვილეს დაობლებული ნუკრები და ობლობა შეუმსუბუქეს, თორემ ხომ დაიღუპებოდნენ ის საბრალონი. კიდევ ეს არის ჩვენი ბედი, რომ ჯოგში ვცნოვრობთ, თორემ სოკიერთ ცნოველებით კერძოდ რომ ვცნოვრობდეთ, ჩვენი საშველი არ იქნებოდა.

დაობლებული ნუკრი ჯოგში ვერც-კი გრძნობს ობლობას, რადგან იქვე დედინაცვალე უჩნდება, რომელიც ნამდვილი დედის სამსახურს უწევს. აი, ამაშია ჩვენი ძალა და გამარჯვება.



ძალა ერთობაშიაო, რომ იტყვიან, სწორედ ჩვენსაა გამოჭრილი. ჭირისა და ლხინისა წიარად ვინაწილებო.

ნუკრები მუშუს სწოვენ ორი-სამი თვის განმავლობაში, თუძე ერთი თვის ნუკრი უკვე გამოჭეავს დედას სამოვარსე და ნორჩი ბალანის ჭამას აჩვენებს. ათი-თორმეტი დღის განმავლობაში ნუკრს ფეხები უმაგრდება იმოდენად, რომ სირბილს ეჩვენებს. თოთხმეტი თვის ნუკრი უკვე დასრულებული შველია და მეუღლეობას ეწევა. სძირად მძაღლი შველი ცოლ-ქმრობის უღელს ბოლომდე ატარებს და შვილების გაზრდა-გაწვრთნაშიაც იღებს მონაწილეობას თავის მეუღლესთან განუერყვად; უმეტესად-კი სტოვებს ძველ ოჯახს და ასწავს ეკიდება. უმეტეს ნაწილად ჯოგს შეადგენს მძაღლი შველი ორი-სამი დღელთა და ნუკრებით, თუძეც ხან-და-ხან ჯოგში თორმეტი თავია და მეტიც, როცა საერთოდ მთაში მიგდივართ სოლმე.

ვენაცვალე ჩვენ ღამას მთებს! სამთარშიაც ნამდვილ დედობას გვიწევს მთა, როცა ეგერ-აკერ მთებში ჩაქსოვილ სამოვრებიდან ქარი თოვლს აიღებს და ამწვანებულ-აბიბინებულ სავერდი თვალსა გუჭრის თავისი სიღამასით და გულის გვიანებს თავისი ნოყიერებით. თავშესაფარიც უსრუნველეყოფილი გვაქვს მთაში. თუძე ჩვენი ქურქის ჰატრონს სიცვივის არ უნდა ეშინოდეს, მაგრამ თბილი, მეუღრო ადგილი ცივ სამთარში მანც უფრო სასიამოვნოა და ასეთი ადგილები სომ მთის კალთებშია, — გინდა თუ არა, სულა და გულა!

არც კარგსა და დინჯად ჩაფიქრებულ ტეეს ვწუნობთ და ამწვანებული ჩირგვანრი სომ ჩვენი სასიამოვნო სამყოფია, მით უმეტეს, თუ მდინარეც თან ასწავს, ან ცქრიალა ნაკადული ჩამოურბის გვერდით. ანკარა წელით გულ-მეცლის გაკრიფებას სასიამოვნოა და ქურქის გასუფთავებას სასარგებლო, საცა ღრმა წყალია და შეცურვა შეგვიძლია. მტრების



მოსაგერებელი იარაღიც მოუცია ჩვენთვის ბუნებას და თან სიძარღვც. ჩვენი ნასტოპი ვუელას აოცებს და გააფთრებული ძამაღი შულის რქებს არა ერთი და ორი მტერი დაუძარცხებია ბრძოლის ველზე. „სადა არა სჯობს, გაცლა სჯობს გარგისა ძამაცისაგან,“—და ჩვენც ისე გაუბრძვართ, რომ მხოლოდ ტყეა თუ დაგვეწვა.

ადამიანი აღტაცებულია ჩვენი სიძარღითა და ლაძახი ტანადობით. მასთან ჩვენი ჩიხაც უუვარს შემწვარ-მოხრავული. ამიტომ დაგვდევს ის დალოცვილი თოფით შეიარაღებული და დღეს კვიმოკლებს.

მხოლოდ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ, რაც დრო გადის, ადამიანს თან-და-თან ესრდება სიბრალულის გრძნობა ერთის მხრით და მეორე მხრითაც ცხოვრება ისე გაძნელდა, რომ უსაქმო ხალხი მცირდება; და, ხომ მოგესხენებთ, ნადირობას უსაქმონი მისდევან. ესენი არიან ჩვენი მოსისსლე მტრები. ამბობენ, განათლებულ ქვეყნებში უიარაღო მონადირენი არიანო. ისინი თურმე დადიან მინდორ-ველსა და მთებში და სხვადა-სხვა ცხოველების ცხოვრებას უკვირდებიან და ხელს-კი არავის ასლებენ. ეგებ იზრინოს ღმერთმა და ჩვენ ტურფა მხარესაც გაუხინდნენ ამგვარი მონადირენი ჩვენდა საბედნიეროდ და თქვენდა საკეთილდღეოდ, ჩვენო მტერ-მეკობარნო.

ივანე ელიაშვილი.







## უარაღა.

სირუელი — ქართულ ანბანის  
ასოა, მსოლოდ შესამე;  
მეორე — რიცხვი წუვილია,  
ზატარა, თქუენი კუნესამე!  
შეერთებული-კი კახლავო  
ქართლის ქალაქის სასედი,  
სამაზრო არის, მკონია  
ბეურია იმის მსახეელი.

კ. დარაშვილი.

## გამოცანები.

(წარმოდგენილი ტონკმელისაგან).

I.

მრჯერ უკბილო,  
მერთსელ კბილიანი.





II.

სრც მმა არი, არც და არი,  
სადაც წავალ — ჩემთან არი;  
არც უშველის მას გაწერომა,  
არცა ძლიერ მჭრელი სძადი.





# რ ე ბ უ ს ი.



მე-24 №-ში მოთავსებულ ზარადის და რებუსის ახსნა:

- 1) ჰარადა: წელიწადი.
- 2) რებუსი: მოგვილოცაუს შობა



# შინაარსი

## 1911 წლის ჟურნალ „ნაკადულისა“.

ლ ე ქ ს ე ბ ი :

### შ. მღვიმელი

ახალი წელი . . . . .	იხ.	№ 1
მერცხლის სიმღერა . . . . .	„	№ 3
აღდგომა . . . . .	„	№ 7
შოშია და ბავშვები . . . . .	„	№ 8
მერცხალი. . . . .	„	№ 11
გოგუცუნა და ბატები. . . . .	„	№ 14
სიმღერა . . . . .	„	№ 17
კურდღლის ჩივილი . . . . .	„	№ 18
კურდღელი და ივანიკა . . . . .	„	№ 20
შემოდგომა . . . . .	„	№ 21
თამარ ქალი . . . . .	„	№ 24

### აბაშისპირელი

იის სიმღერა. . . . .	„	№ 10
----------------------	---	------

### ალ. შანშიაშვილი

ალილო . . . . .	„	№ 1
საღამი . . . . .	„	№ 8
ვირი . . . . .	„	№ 15
ძღარბი და ძაღლი . . . . .	„	№ 16
უბე ფური კურდღელი . . . . .	„	№ 17
ვანო და ნიშა . . . . .	„	№ 22
ბაყაყი და მელა (ეზოპისა). . . . .	„	№ 24

### ი. მჭედლიშვილი

ზამთარი. . . . .	„	№ 4
მაისი . . . . .	„	№ 13

### ირ. ევდოშვილი

ჩურჩხელების ჩხუბი . . . . .	„	№ 2
საჩუქარი. . . . .	„	№ 23





ტონკმელი

პატარა სტუმრები . . . . .	ობ. № 6
მერცხლები . . . . .	„ № 9

ბაბილინა

მე და თოვლი . . . . .	„ № 11
სოფლის სკოლა . . . . .	„ № 5

ი. გოგია

ბავშვები . . . . .	„ № 3
--------------------	-------

ფ. ქუჩიშვილი

თინა . . . . .	„ № 12
აღუ, აღუ! . . . . .	„ № 16
კატა და თაგვი . . . . .	„ № 19

ქ. თ. ს. რ. ბ. ე. ბ. ი.

ვ. თამროშვილი

ჩვენი მეკვლეები . . . . .	„ № 1
ალილოზედ . . . . .	„ № 2
„ (დასასრული) . . . . .	„ № 3
ფერი იცვალეს . . . . .	„ № 18
თამრიკოს წუხილი . . . . .	„ № 22
პატარა მეგაზეთე . . . . .	„ № 23
„ „ (დასასრული) . . . . .	„ № 24

ი. ევლოშვილი

წერილი ბეზიას ჩუროჩხელეთან . . . . .	„ № 1
პასუხი ქალობატონ თამრიკელას . . . . .	„ № 1
გულადი მეგობრობა . . . . .	„ № 4
ახალი ხალათი . . . . .	„ № 7
მწყემსი გაგნა . . . . .	„ № 8
მიშველე ცისკარ . . . . .	„ № 9
ბიჭო გოგია . . . . .	„ № 10
„ „ (გაგრძელება) . . . . .	„ № 11
„ „ (დასასრული) . . . . .	„ № 12
გენაცვალოს პაპა . . . . .	„ № 14
ჩახმანოს წინდა . . . . .	„ № 21





**მ. გარიყული**

გულკეთილი . . . . .	„	№ 1
ლიზიკოს ფეხსაცმელი . . . . .	„	№ 8
ზაქრო გასაჭირისაგან იხსნეს . . . . .	„	№ 22
ციცამ რა იცოდა შობის ხე . . . . .	„	№ 24

**ოლღა ჭრელაშვილისა**

ლევ ტოლსტოის ბასი თავის ქალთან (თარგმანი) . . . . .	„	№ 1
კატა და ცხენი (თარგმანი) . . . . .	„	№ 3
რათა ცხელა ზაფხულში და რათა ცივა ზამთარში (თარგმანი) . . . . .	„	№ 9
ფრინველებმა მელას კუდით ქვა ასროლინეს . . . . .	„	№ 12

**დ. თურდოსპირელი**

სოფელში . . . . .	„	№ 2
ტყეში . . . . .	„	№ 7
სინანულში ჩავარდა . . . . .	„	№ 19

**ე. გულიაშვილი**

ბედნიერების საჩუქარი (თარგმანი) . . . . .	„	№ 3
„ „ (გაგრძელება) . . . . .	„	№ 4

**გერმანაშვილი**

ბაყაყი (თარგმანი) . . . . .	„	№ 20
-----------------------------	---	------

**ე. ჭიჭინაძე**

ზამთრის პეპელები (თარგმანი) . . . . .	„	№ 3
მფრინავი თევზი (თარგმანი) . . . . .	„	№ 6
რომელი უძვირფასესია (თარგმანი) . . . . .	„	№ 19
ჩრჩილი (თარგმანი) . . . . .	„	№ 20

**ნ. ყიფიანი**

სიკაპასისთვის დასჯილი თინა (თარგმანი) . . . . .	„	№ 4
---	---	-----

**ლ. ბოცვაძე**

მაბეზლარი აფთარი (თარგმანი) . . . . .	„	№ 22
ჭირვეული ბელურა (გადმოკეთებული) . . . . .	„	№ 23

**მესხი კ. გვარამაძე**

ზრძენი . . . . .	„	№ 4
------------------	---	-----

**ჭ.**

დიდი ქვების თავ-გადასავლი . . . . .	„	№ 5
-------------------------------------	---	-----





## ანეცა

ბაჭიები (თარგმანი) . . . . .	იხ. № 5
„ (გაგრძელება) . . . . .	„ № 6
„ (დასასრული) . . . . .	„ № 7

## №

რა ნახა, რა გაიგონა მოუსვენარმა ხარაბუზამ (თარგმანი) . . . . .	„ № 5
მგალობელი ჩიტი (თარგმანი) . . . . .	„ № 11

## ნ. ავალიანისა

შხამა სოკო (თარგმანი) . . . . .	„ № 5
---------------------------------	-------

## განდევლი

მოდულებული კუდი . . . . .	„ № 6
---------------------------	-------

## თეო კანდელაკი

იღუმალი ქურდები . . . . .	„ № 7
---------------------------	-------

## მ. კლიმიაშვილი

ბუმ როგორ აღზარდა ჩიორას ბარტყები (თარგმანი). . . . .	„ № 8
„ „ „ „ „ (გაგრძელება) . . . . .	„ № 9

## გ. ჯაბადარი

პატარა თეატრი (თარგმანი). . . . .	„ № 9
ამპარტავანი მჭედელი (თარგმანი). . . . .	„ № 11
პატარა თეატრი მატარებელში (თარგმანი) . . . . .	„ № 14
„ „ „ (გაგრძელება) . . . . .	„ № 15
მეგობრები (თარგმანი). . . . .	„ № 17
„ (გაგრძელება) . . . . .	„ № 18
კარგი მეგობარი (თარგმანი) . . . . .	„ № 22
დამიმტკიცე (ფრანგულით). . . . .	„ № 24

## ლადო ბზვანელი

ვირი და ძალი (თარგმანი). . . . .	„ № 10
----------------------------------	--------

## ივანე ელიაშვილი

თხუნელა, (მუღუ) . . . . .	„ № 10
ჩხიკვი . . . . .	„ № 16
მოლალური . . . . .	„ № 18
ძღარბი . . . . .	„ № 19
ოფოფი . . . . .	„ № 2



<b>გოგია მერკვილაძე</b>	
მელია დი ხოხობი (თარგმანი) . . . . .	„ № 10
<b>ილ. რუხაძე</b>	
საბრალო მზე-წვია . . . . .	„ № 11
<b>დ. ყიფიანი</b>	
ობობას ქსელი (თარგმანი). . . . .	„ № 11
ორი ნატეხი შაქრის ამბავი (თარგმანი) . . . . .	„ № 13
თაფლის სანთლის ისტორია (თარგმანი) . . . . .	„ № 14
<b>ს. დადიანი</b>	
ხუტა ჭყონი . . . . .	„ № 12
ბურღლულას ოინები . . . . .	„ № 13
უტყვი მოწამე . . . . .	„ № 20
<b>მარიამ იოსელიანისა</b>	
ეკიმი (ერთ მოკმ. პიესა) (თარგმანი). . . . .	„ № 12
<b>ლ. ლამბაშიძე</b>	
ბრძენი და მეფე (თარგმანი). . . . .	„ № 13
<b>ვლ. რცხილაძე</b>	
ჭკვა და ბედი (თარგმანი) . . . . .	„ № 13
<b>ალ. შანშიაშვილი</b>	
ჭკვიანი სპილო (გადმოკეთებული) . . . . .	„ № 13
<b>ალ. მიქაბერიძე</b>	
ზოგჯერ ცბიერი მელაღ-კი მოტყუვდება . . . . .	„ № 14
<b>ფ. მალაქიაშვილი</b>	
ნანიკო . . . . .	„ № 15
„ (გაგრძელება) . . . . .	„ № 16
<b>გიგლა გარსიაშვილი</b>	
გადაუწყვეტელი საქმე (თარგმანი) . . . . .	„ № 15
<b>ოლ. ლეჟავა</b>	
ხორცის მჭამელი მცენარე (თარგმანი) . . . . .	„ № 15
<b>№</b>	
აქლემი . . . . .	„ № 17
მუსიკის დამკვრელი ბატი . . . . .	„ № 21





**შ. ქართველიშვილი:**

- პატარა ფისოს ამბავი . . . . . (იბნეზი) . . . . . № 16
- „ „ „ (გაგრძელება) . . . . . „ № 17
- როგორ არ შემინებოდათ. . . . . „ № 18
- „ „ „ (გაგრძელება). . . . . „ № 19

**ელ. ახვლედიანი.**

- ბაბუას მონდობილობით (თარგმანი) . . . . . № 16
- „ „ „ (გაგრძელება) . . . . . „ № 17

**არტემიუსი**

- შაურის ისემე!.. (თარგმანი) . . . . . „ № 17

**ნიკოლა კეცხოველი**

- სტუმარი ღვთისაა (ზღაპარი) . . . . . „ № 20

**დ. ნაცვლიშვილი.**

- ქკვიანი ძალლი (თარგმანი) . . . . . „ № 21

**გიორგი**

- ძალლი, კატა და მელია (ზღაპარი) . . . . . „ № 20
- „ „ „ „ (დასასრული). . . . . „ № 21

**ეკ. ლორთქიფანიძისა**

- ორთქლი . . . . . „ № 21
- ნისლი, წვიმა და სეტყვა . . . . . „ № 22
- ყინული და თოვლი. . . . . „ № 23
- თოვლის გორა: . . . . . „ № 24

**ლეო ხ. — იმნაძე**

- საყვედური . . . . . „ № 23

**კამოხენილ ადამიანთა ცხოვრება**

**6.**

- ეკატერინე გაბაშვილისა . . . . . „ № 8

**ნ ე კ რ თ ლ ო კ ი**

**6. 6.**

- ნიკოლოზ ზებედესძე ცხვედაძე . . . . . „ № 21



ი გ ა ვ ე ბ ი.

აღ. მირიანაშვილი

ძალი და ქურდი . . . . .	ივ. № 1
მამა შვილნი . . . . .	„ № 2
თევზი და კიბო . . . . .	„ № 3
საწყალი კაცი და მდინარე . . . . .	„ № 5
კალატოზი და დურგალი . . . . .	„ № 7
ღორი და კატა . . . . .	„ № 19
ბაღლი და მურაბა . . . . .	„ № 21
მუშა . . . . .	„ № 22
კარგბა . . . . .	„ № 23

ნოშრევან მერკვილაძე

ხარი და ბუზი. . . . .	„ № 6
-----------------------	-------

კ ა ს ა რ ი თ ო ბ ი.

დ. კარბელაშვილი

რებუსული ამოცანა, მოძრავი გემი . . . . .	„ № 3
რებუსი. . . . .	„ № 4
რებუსი . . . . .	„ № 8
რებუსი . . . . .	„ № 10
რებუსი . . . . .	„ № 11
წუმწუმის გადასვ-გადმოსვა . . . . .	„ № 13
შარადა . . . . .	„ № 20
რებუსი . . . . .	„ № 21

კ. დარაშვილი

რებუსი . . . . .	„ № 3
ცხრილი. . . . .	„ № 4
ციფრების ამოცანა . . . . .	„ № 5
რებუსი . . . . .	„ № 5
არითმეტიკული ამოცანა . . . . .	„ № 7
ამოცანა ცხრილით . . . . .	„ № 19
რებუსული ამოცანები . . . . .	„ № 15
რებუსი . . . . .	„ № 18
რებუსი . . . . .	„ № 15
რებუსი . . . . .	„ № 16



მესხი გვარამაძე

ანდაზები . . . . . „ № 6

თეო კანდელაკი

გამოცანა ლექსი. . . . . „ № 6

გამოცანა . . . . . „ № 7

მაქსიმე სახამბერიძე

რებუსი . . . . . „ № 6

ტონკმელი

გამოცანა . . . . . „ № 15

ან. კაპანაძე

გამოცანა. . . . . „ № 18

ვინ იყო ყველაზე დიდი . . . . . „ № 22

გამოცანები . . . . . „ № 23





1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

ყოველ დღიურ ქართულ გაზეთ

„**კოლხიდა**“-ზე

შელიშაღი მემორა.

გაზეთის დასაკვეთი ფასნი:

ერთი წლით 7 მ. ნახევარ წლით 4 მ. ერთი თვით 4 აბაზი.

წლიურ ხელის-მომწერთ გაზეთის ფასი ამნაირ შალავათიანის  
წესით შეუძლიანთ გადაიხადონ:

ხელის მოწერის დროს 3 მან., პირველ მაისს 2 მან.: პირ-  
ველ ენკენესთვეს 2 მან.

ცალკე ნომრის ფასი ერთი შაური.

მისამართის გამოცვლისათვის ათი შაური.

სოფლის უფასო წიგნ საცავ-სამკითხველთებს სტ. სთავისტომოებს,  
სოფლის მასწავლებელთ და შკოლებს გაზეთი ოთხ მანეთად დაეთმო-  
ბათ. სახდვარ-გარეთ წლ.—14 მან. თვიურად ექვსი—აბაზი.

---

ყოველ-დღიური საბოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

„**სახალხო გაზეთი**“

გაზეთი გამოვა 1912 წელს იმავე პროგრამით რო-  
გორც 1911 წ. გამოდიოდა.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1912 წ. გაზეთს ექვსი

**სურათიანი დამატება** კვირბრტით.

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის. გაზეთის ფასი:  
წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ 8 მ. და 50 კ.  
ნახევარი წლით 4 მ. 80 კ., წლიურ ხელის მომწერლებს შე-  
უძლიანთ გაზეთის ფასი ნაწილ ნაწილადაც შემოიტანონ. ხე-  
ლის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წე-  
რა-კითხვის საზოგადოების მალაზიაში ი. ავალიშვილთან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, редакция „Сахалхо Газети“.



# 1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ სანქცევილო ჟურნალ

## „ნაკადულ“-ზე

◆ წელიწადი მერვე ◆

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს ძიეცემათ:

**24** წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

◆ დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა. ◆

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა 5 მან. ნახევარ წლით— 3 მან., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან., ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა შეიძლება **ტფილისში** — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის ს., გელაფ. შრ. № 8. Редакция „Накадули“ ГОЛОВИНСКИЙ пр. № 8. და წერა-კითხვის სწავლავლების წიგნის მდარაში, სსსხლის ქუჩა. **ქუთაისში** — ისიდრე კვიციანიძისთან, თ. შთაურაშვილთან, და მარამ ჟუჟინაშვილთან. **სამტრედიისში**: ივანე გლადკოვთან, **ფოთში** — თეოდორე კახდელაგთან. **ბათუმში** — კ. სოფია სკაშიძისთან და ცროფიმ ინსარაძისთან. **დ. ხონში** — ეკატერინე ვასილის ასულ პანტაძისთან. **ოზურგეთში** — ჯეო ამბაძისთან. **თელავში** — ვასო ზაატაშვილთან. **ახალციხეში** — კანსტანტინე გვარამაძისთან. **ბაქოში** — ვასილ ასვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან. **გოში** — ხინო ღამაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **სოხუმში** — ვ. მარამ ანხიაძისთან. **ჭიათურაში** — ივანე ცამქლავურთან, **განჯაში** — ბ. ამბაქაძისთან. **ერევანში** — ე. ადიმარასთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.